

საქართველოს კანონი

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში
ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში (სსმ, 1999 წ., N41(48), მუხ. 209) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. 209-ე მუხლი ამოღებულ იქნას.

2. 218-ე მუხლის შენიშვნის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ამ მუხლით გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, თუ საგადასახადო შემოწმების შედეგებზე საგადასახადო მოთხოვნის ან საბაჟო შეტყობინების მიღებიდან 45 კალენდარული დღის ვადაში გადახდილი, გადავადებული ან კორექტირებული იქნება გადასახდელად დაკისრებული ძირითადი თანხა.“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი